დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ბექარ კილასონია

წევრები:

ნათია მაწკეპლაძე

მედეა ქოქრაშვილი

ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 230078493

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 ივნისის №750116 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 7 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ვიზიტი სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლაში, 2025 წლის 7 ივლისს (ქ.ზესტაფონი, სოფელი შორაპანი, ფარნავაზ მეფის ქ. N21). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის(1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის(3.1. კომპონენტი) , დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის(4.1. კომპონენტი) და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა მისია ხედვა ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის№2-60 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და უზრუნველყოს სტრუქტურის გადახედვა და თანამშრომელთა ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.

4.1.1.2 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.

4.1.1.3 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და განახორციელოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება.

2.2.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.

2.2.1.2 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის შეუფერხებელად განხორციელებისა და მდგრადობისათვის დამატებით შესაბამისი კომპეტენციის პროფესიულ მასწავლებელთა მოძიება.

2.2.1.3 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა / განხორციელება, საჭიროებისამებრ.

2.2.1.4 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის გავნითარება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნობრივი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზებას, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით მენეჯერული და საგანმანათლებლო კომპეტენციების გაუმჯობესებას.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

<u>დაწესებულებას ეძლევა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას. ასევე დადგინდეს რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტები ლაბორატორიულ სივრცეში.</u>

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მისია ემყარება ზოგადი და პროფესიული განათლების საფუძველზე თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული მოსწავლეებსა და პროფესიულ სტუდენტებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება. განათლების პროცესში გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისტორიულ-კულტურული ღირებულებების შენარჩუნება და მათი გამოყენება სწავლა-სწავლების შინაარსობრივად გამდიდრებაში. დაწესებულება აღიარებს განათლების მრავალსაფეხურიანობისა და პერსონალიზაციის მნიშვნელობას, რაც საშუალებას აძლევს ინდივიდს მოახდინოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია პროფესიულ განვითარების გზაზე. სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აღზარდოს მოაზროვნე, ინიციატივიანი, პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქე, რომელიც მზად იქნება ჩაერთოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაში. ღნიშნული მისია სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების იმ მიზნებთან, რომლებიც უკავშირდება:

- პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას;
- კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადებას;
- შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე სწრაფ და მოქნილ რეაგირებას;
- უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობას მთელი ცხოვრების მანძილზე.

სკოლის ხედვა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას. პროფესიული განათლების ეფექტიანი განხორციელებით და კადრების პრაქტიკულ ბაზარზე ორიენტირებული მომზადებით, სკოლის საქმიანობა ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად ზრდასა და ინოვაციური საზოგადოებრივი გარემოს ფორმირებას.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მისია ლაკონურად, ზუსტად და მოტივაციისკენ მიმართულად ასახავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და სამიზნე ჯგუფზე ორიენტირებულ მიზნებს. სასწავლო დაწესებულება მტკიცედ ფოკუსირებულია იმაზე, რომ თითოეულ მოსწავლესა თუ პროფესიულ სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი უნარები და რესურსები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიან სპეციალისტად, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ინდივიდუალური ღირებულებები, რათა ეფექტიანად გაუმკლავდეს თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებს. ამგვარი მისია არა მხოლოდ ასახავს დაწესებულების ფუნქციურ ხასიათს, არამედ ქმნის საფუძველს სტრატეგიული გეგმებისა და საქმიანობის მიზნობრივი დაგეგმვისთვის. მისი შინაარსი მჭიდროდ უკავშირდება განათლების სისტემის პრიორიტეტებსა და ეროვნულ პოლიტიკას პროფესიული განათლების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით.

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის ხედვა და ღირებულებები განისაზღვრება სკოლის მისიის საფუძველზე და სრულად თავსებადია დაწესებულების მიერ არჩეულ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებთან. ისინი ასახავს იმ პრინციპებსა და მიდგომებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლის მისიის რეალიზებას და უწყობს ხელს ხარისხიანი, ინკლუზიური და თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დანერგვას. სკოლის ხედვა განსაზღვრულია გრძელვადიანი განვითარებისა და განახლების პერსპექტივით და მოიცავს შემდეგ მიზანს: 2029 წლისთვის სკოლა იქნება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას შესთავაზებს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიწოდების გზით. დაინტერესებულ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლება, რაც თავის მხრივ ემსახურება ეროვნული და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე საპასუხო კადრების მომზადებას და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლის ღირებულებები კი წარმოადგენს იმ ეთიკურ და ფუნქციონალურ საფუძველს, რაზეც დაყრდნობითაც შენდება სკოლის საერთო კულტურა. ღირებულებათა სისტემა უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლებაში მონაწილე სუბიექტებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რომელშიც გათვალისწინებულია პროფესიული, ინტელექტუალური და სოციალური განვითარებისთვის აუცილებელი პირობები.

დაწესებულების ძირითადი ღირებულებებია:

- სამართლიანობა – თითოეული მოსწავლისა და პროფესიული სტუდენტის მიმართ თანაბარი მიდგომა, შესაძლებლობების გათანაბრება და ადამიანის ღირსების პატივისცემა.
- გუნდურობა – კოლექტიური პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის და ურთიერთპატივისცემის კულტურის მხარდაჭერა, რაც სასწავლო პროცესის ერთიანობას უზრუნველყოფს.
- გამჭვირვალობა – პროცესების ღიაობა, ანგარიშვალდებულება და გადაწყვეტილებების გამჭვირვალე კომუნიკაცია სკოლის ყველა დონეზე.
- მიუკერძოებლობა – ობიექტურობის, ნეიტრალიტეტის და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპის დაცვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- პროფესიული ზრდა და განვითარება – უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობა როგორც მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის, ისე სკოლის პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

აღნიშნული ხედვა და ღირებულებები ქმნის მყარ საფუძველს სკოლის გრძელვადიანი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის პრიორიტეტებს, რომლებიც ემსახურება განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდას.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შემუშავება განხორციელდა ღია, ინკლუზიური და მონაწილეობითი პროცესის საფუძველზე. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც შედიოდნენ სკოლის მენეჯმენტის, აკადემიური პერსონალის, მოსწავლეების და მშობლების წარმომადგენლები. დოკუმენტი განხილული და გაზიარებული იქნა სკოლის პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის ლეგიტიმურობას, გამჭვირვალობასა და ჩართულობას. აღნიშნული საბჭოები აერთიანებენ დაინტერესებული მხარეების - პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების წარმომადგენლებს, რაც ხელს უწყობს მრავალმხრივი პერსპექტივის გათვალისწინებას დოკუმენტის შინაარსის განსაზღვრისას. დოკუმენტის საბოლოო ვერსია დამტკიცების შემდეგ განთავსულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებზე, ასევე გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. აღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო და ხელმისაწვდომ ფორმით გავრცელებას, რაც კიდევ უფრო ამყარებს სკოლის ღია მმართველობის პრინციპებს და აღრმავებს საზოგადოების ჩართულობას სკოლის განვითარებაში.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- ვებ გვერდზე განტავსებული მისიის, ხედვისა და ღირებულებები;
- სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-61 ბრძანება - მისიის, ხედვისა და ღირებულებების ცვლილებების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მისია, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ „ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა“ დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-61 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის № 2-58 ბრძანებით, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი რეგულაციები კერძოდ: პროფესიული სტუდენტის უფლებები, სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება, რომელშიც აღწერილია საკანონმდებლო მოთხოვნებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის უფლებები, მათ შორის ისეთი უფლებები, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურები და მექანიზმები (32,33,34 მუხლები), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი(მე-8 მუხლი), პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში, სწავლის შედეგების შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (მუხლი 39 და 40), ასევე, დაწესებულების დანართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“, სწავლის შედეგების შეფასების აპელაციის პროცედურები (39.17 მუხლები) ასევე დაწესებულებაში განსაზღვრულია აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, ინფორმირების, გასაუბრების, საკონკურსო კომისიის შექმნის, ტესტირების/გასაუბრების შედეგების აპელაციის პროცედურები, ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის ეტაპობრივი პროცედურები. დოკუმენტაციის განხილვისა შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული საკითხი ასახულია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში, ასევე პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გასაფორმებელ სასწავლო ხელშეკრულებაში. ორივე დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული სტუდენტის ფუნდამენტურ უფლებას მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება. აღნიშნული უფლება წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემის ძირითად პრინციპს და გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისი რესურსების გამოყენებას და სწავლების პროცესში სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტურ მონაწილეობას.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ეფუძნება სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-58 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. აღნიშნული შეხვედრების მიზანია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათი უფლებების, მოვალეობებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ. სწავლის დაწყებისთანავე, პროფესიულ სტუდენტებს შეხვედრას განახორციელებენ სკოლის დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ისინი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს გააცნობენ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედ შიდა რეგულაციებს, პროცესების მართულობის პრინციპებსა და საგანმანათლებლო გარემოს მახასიათებლებს. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტსა და სკოლას შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები. ხელშეკრულების ხელმოწერით სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ეცნო და ცნობიერად იღებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებლობას დებულებით გათვალისწინებული წესების შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, უსაფრთხო და სამართლებრივად დასაბუთებულ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-58 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, რომლის თანახმადაც პროფესიულ სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. მათ ასევე აქვთ უფლება, გაეცნონ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პროცედურებს. დებულება ასევე განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრების ციკლის ჩატარებას მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდება სემესტრში არანაკლებ ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რიგგარეშე შეხვედრების ორგანიზებაც. გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შემოწმებით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის საკონსულტაციო სერვისების მიწოდებას. როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ისე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა პირებთან. პროფესიული მასწავლებლების უფლება-მოვალეობათა ფარგლებში ცალსახად არის გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების კონსულტირება შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების შედეგების განმეორებითი დადასტურების პროცესის უზრუნველყოფა, რაც საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-58 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმს (მუხლი 22). დებულების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ხელშეკრულების საგანს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, რომელზეც სტუდენტი ჩარიცხულია, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, შეწყვეტის წესს და სხვა მნიშვნელოვან დებულებებს. დადგენილია, რომ ხელშეკრულებას ხელს აწერს სკოლის დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენელი. დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი ტიპის ხელშეკრულებების ნიმუშების არსებობას როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის.

ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისობაშია

5.დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-58 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება. დებულების მე-29 თავი ეთმობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საკითხებს, სადაც გაწერილია როგორც ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საფუძვლები, ასევე მისი შემუშავებისა და დამტკიცების მექანიზმები. დადგენილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით. ინდივიდუალური გეგმის პროექტი განიხილება და თანხმდება უშუალოდ იმ პროფესიულ სტუდენტთან (ან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროების შემთხვევაში, მის კანონიერ წარმომადგენელთან), ვისთვისაც მუშავდება აღნიშნული გეგმა. შეთანხმების შედეგად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცდება შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანდართვით. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის ვერ მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ შეთანხმება, პროფესიულ სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობის მექანიზმებით, საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა დოკუმენტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-58 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი დოკუმენტების დამტკიცების შესახებ; დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები (სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში). ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულებას გააჩნია წესდება, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ხოლო მისი დამფუძნებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. იმისათვის, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს უწყობდეს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივად მუშაობენ ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწასა და განახლებაზე. ამ მიზნით, ძალაშია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N 2-46 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს, კომპეტენციებსა და მათი შერჩევის პროცესსა და სტანდარტებს. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის№2-60 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც გაწერილია: ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა ორგანიზაციან უნდა უზრუნველყოს 2025 წლის 31 ოქტომბრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩათვლით, ასევე დოკუმენტში ნათლადა მითითებული არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ინდიკატორი 4.1.1.21 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

დაწესებულებას გააჩნია წესდება, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის დამფუძნებელი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული პერსონალის უფლებებს, მოვალეობებს, კომპეტენციებსა და შერჩევის პროცედურა. ასევე დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი თანამშრომელთა ფუნქციები და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციაზე ან იერარქიის პირებზე. ასევე, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ეფექტური გადანაწილება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ძირითადი საქმიანობის ხარისხიან განხორციელებას. თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სრულყოფის მიზნით, სკოლა გეგმავს გადახედოს პერსონალის სამუშაო აღწერილობებს და დაამატოს ისეთი პერსონალი, რომელიც ამჟამად არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ დოკუმენტში. ვინაიდან ამ ეტაპზე განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები ვერ უზრუნველყოფენ ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილ განხორციელებას, დაწესებულება აპირებს მათ გადახედვას და საჭირო ღონისძიებების გატარებას. შესაბამისად სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის№2-60 ბრძანებით დამტკიცებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც გაწერილია: პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომლეთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა, რომელიც უნდა შესრულდეს 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, ასევე დოკუმენტში ნათლადა გაწერილი არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ინდიკატორი 4.1.1.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი – „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც მკაფიოდ განსაზღვრულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და ვალდებულებები. ხარისხის მართვის მენეჯერის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს სასწავლო პროცესის, გამოყენებული მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და გაუმჯობესებისკენ მიმართული პროცესების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი. დოკუმენტში წარმოდგენილი ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რაც უზრუნველყოფს მის საქმიანობაში ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას. თუმცა სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის№2-60 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც, დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს არსებული პრობლემა კერძოდ: განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება 2026 წლის 31 იანვრის ჩათლით.

ინდიკატორი 4.1.1.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი – „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი – „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის ბრძანებით N 2-58 დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპებს და პროცესებს, მათ შორის: პერსონალის შერჩევის პროცედურას, კონკურსის ჩატარების ეტაპებსა და მეთოდებს, ახალ თანამშრომელთა დაწესებულებაში ინტეგრაციის მექანიზმებს, შეფასების კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიას, ასევე, პერსონალის წახალისებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ზსდ-ში (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში) ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც ეფუძნება სტანდარტიზებულ, სამართლებრივად გამართულ და თანმიმდევრულ პროცესებს. აღნიშნული გარემო ხელს უწყობს პერსონალის ინდივიდუალური პოტენციალის გამოვლენას, პროფესიული და პიროვნული უნარების განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება დაწესებულების ეფექტიან და უწყვეტ საქმიანობაზე. დოკუმენტი წარმოადგენს საკვანძო მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნებზე მორგებული, მდგრადი და ხარისხზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების მართვის სისტემის არსებობას.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია

2.დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პროცესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკით“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შერჩევის პროცესის პრინციპებსა და მეთოდებს. ახალი თანამშრომლის შერჩევისას, დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს კანდიდატთა ცოდნისა და უნარების შემოწმების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა შესაბამისი მექანიზმები. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სკოლის უფლება და შესაძლებლობაა კანდიდატები შეარჩიოს როგორც შიდა საკადრო რესურსიდან, ისე ღია კონკურსის გზით, რაც უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული პროგრამის პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული პერსონალის დაკომპლექტებისათვის აუცილებელ სავალდებულო და გარკვეულ შემთხვევებში, სასურველ კრიტერიუმებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი პოზიციების შესაბამისი მინიმალური განათლების დონე, შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, სპეციალიზებული ტექნიკური უნარები, უცხო ენების ფლობა, პოზიციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ცოდნა და სხვა. აღნიშნული მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია დადგენილ ფუნქცია-მოვალეობებთან და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი დაკომპლექტებულია დოკუმენტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ყველა თანამშრომლის პირად საქმეში დაცულია მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, რომ არსებული კადრები აკმაყოფილებენ დაკავებული თანამდებობებისათვის საჭირო პროფესიულ და აკადემიურ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლურ და გუნდურ მუშაობაზე დამყარებულ პრინციპებს. აღნიშნული მიდგომები მიზნად ისახავს თანამშრომელთა საერთო მიზნების გარშემო კონსოლიდაციას, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და ორგანიზაციული ერთიანობის განმტკიცებას. დოკუმენტში ჩამოყალიბებული ამოცანები ხელს უწყობს თანამშრომელთა შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებასა და ისეთ ორგანიზაციული გარემოს შექმნას, რომელიც თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი პროფესიული პოტენციალის სრულად რეალიზებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანაბარი ჩართულობის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისათვის. დაწესებულების სტრუქტურა და მმართველობითი პროცესები ეფუძნება კოლეგიალური მართვის პრინციპებს, რაც გამოიხატება სამუშაო შეხვედრების, ერთობლივი დაგეგმვისა და დოკუმენტების განხილვის აქტიური გამოყენებით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომელიც განხორციელდა თანამშრომელთა გუნდური ჩართულობით და ასახავს ერთობლივი მართვის წარმატებულ პრაქტიკას

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- დაწესებ ულების შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის № 2-58 ბრძანებით დამტკიცებული
- „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის № 2-58 ბრძანებით „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის სკოლის 2025 წლის 16 ივნისის N 2-59 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ზესტაფონი სოფელი შორაპანი ფარნავაზ მეფის ქ-21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20 (მთლიანი ქვოტა) პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20 (მთლიანი ქვოტა) პროფესიული სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება წინასწარ ჩატარებულ დასაბუთებასა და მიზანშეწონილობის დეტალურ ანალიზს, რაც ასახულია შესაბამის არგუმენტაციის ცხრილში (იხ. დანართი 4). აღნიშნული დასაბუთება უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ, ორგანიზაციულ და სტრატეგიულ შესაბამისობას სკოლის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითადი მიმართულებებისა და მიზნებთან. საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. დაწესებულების მისია გულისხმობს შრომის ბაზრის საჭიროებებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენდენციებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს კვალიფიციური და პრაქტიკულად ორიენტირებული კადრების მომზადებას. ამასთან, 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, პრიორიტეტულად განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება და მათთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების განვითარება. შესაბამისად, პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ დანერგვა ემსახურება როგორც დაწესებულების მისიის შესრულებას, ისე სტრატეგიული მიზნების მიღწევას. საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქმედო არეალში არ ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ განხორციელებას. შესაბამისად, აღნიშნული პროფესიული მიმართულებით მომზადებული კადრების სიმცირე აშკარად შეიმჩნევა და შრომის ბაზარზე მოთხოვნა მათი უნარების მქონე ადამიანებზე მზარდია. დაწესებულების მიზანშეწონილობის დროს გამოყენებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევლევა – „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2023“ – ნათქვამია, რომ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფერო საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მზარდ დარგად რჩება. მაღალია მოთხოვნა ქსელისა და სისტემების სპეციალისტებზე, რაც განპირობებულია ციფრული ტრანსფორმაციის გაძლიერებული ტემპით, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული პროფესიული მიმართულება ითვლება მაღალპრიორიტეტულად იმ მხრივაც, რომ დასაქმება ეფუძნება უახლეს ტექნოლოგიებზე და საჭიროებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები ქსელური არქიტექტურის, სისტემური უსაფრთხოების, მონაცემთა გაცვლის სტრუქტურების და ინფრასტრუქტურის მართვის მიმართულებით. გარდა ამისა, „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2023“ ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული სპეციალობის პროფესიონალებისთვის დამახასიათებელია მაღალი ანაზღაურება და საერთაშორისო დასაქმების შესაძლებლობები, რაც ამ პროფესიას ახალგაზრდა თაობისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და პერსპექტიულ სფეროდ აქცევს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნის №2-59 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ძირითადი წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების დადასტურება. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლების დასრულება. დაწესებულებას არ გააჩნია დამატებითი, სპეციფიკური მოთხოვნები პროგრამაზე სწავლის დაწყებისთან დაკავშირებით. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპს და უზრუნველყოფს ფართო სპექტრის პირთა ჩართულობას პროფესიულ განათლებაში. საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორი წლით, რაც შეესაბამება იმ საგანმანათლებლო და პროფესიული კომპეტენციების მოცულობას, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი მოდულებითა და სწავლის შედეგებით. პროგრამაზე დაშვების პროცედურა რეგულირდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამაში ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებას ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს მიერ რეკომენდირებული შეფასების მეთოდით - მოტივაციური გასაუბრებით. დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების კომპლექსური სისტემა უზრუნველყოფს იმ პირების შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება და რომელთაც გააჩნიათ რესურსი, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს განსაზღვრულ ვადაში.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნის №2-58 ბრძანებით დამტკიცებულია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მეთოდოლოგია.

სკოლა ითვალსიწინებს:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება მისი სასწავლო პროცესის მართვაში მონაწილეობა (კერძოდ, მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაციაში მონაწილეობა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და ა.შ) პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს. კომპიუტერული ქსელი და სისტემები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ორი ოთახი. ერთი B გარემო (კომპიუტერების ოთახი), გამოიყენება დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად, ასევე, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების თეორიული მოდულებისთვის. აღნიშნული ოთახი განკუთვნილია მხოლოდ კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის. რაც შეეხება ლაბორატორიას ინტეგრირებული მოდულებისთვის (მეცნიერების და ტექნოლოგიის მოდული) სადაც განთავსებული იქნება შესაბამისი ლაბორატორია (A გარემო). იქნება საზიარო სკოლის მოსწავლეებთან. აუდიტორიები იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამაზე სტუდენტების კვოტა ჯამში განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა შეფასებით კომპიუტერული ქსელი და სისტემები პროგრამისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აღნიშნული აუდიტორიები სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნილი რაოდენობის მქონე პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობას. რაც შეეხება სპორტულ დარბაზს, სკოლას აქვს ერთი შიდა სპორტული დარბაზი. სპორტის სახეობად არჩეულია კალათბურთი და ფრენბურთი. სპორტული დარბაზი საზიაროა და გამოიყენება როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნის №2-59 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები. წარდგენილი დოკუმენტი მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის სრულ ჩამონათვალს, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსებს. გარდა ამისა, ჩამონათვალი მოიცავს ინტეგრირებული მოდულებისთვის დამტკიცებულ საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობების ჩამონათვალთან. სკოლის ბიბლიოთეკის სისტემაში მოცემული პროგრამისთვის ჩატვირთული სასწავლო მასალები წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს პროფესიული განათლების პროგრამის განხორციელების პროცესში. აღნიშნული მასალები ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომია პროფესიულ სტუდენტებს, რაც ხელს უწყობს მათი სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და პროფესიული უნარების ათვისებას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე1" ქვეპუნქტის და დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი დებულების“ მე-2.3 4 და 5 მუხლების საფუძველზე დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N2-59 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებებს. იგი ეფუძნება პროგრამის სტრუქტურულ ერთეულებს – მოდულების თემატიკასა და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სახელწოდება ერთმნიშვნელოვანია, შინაარსობრივად განზოგადებული და არ არის შეცდომაში შემყვანი, რაც უზრუნველყოფს მისი არსის ადეკვატურ აღქმას როგორც პროფესიული სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება უნარი და კომპეტენცია:

- უზრუნველყოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა;
- იმუშაოს მობილურ და ლინუქს ოპერაციულ სისტემებთან;
- დაამონტაჟოს და გამართოს მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელი;
- დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- გამართოს ბაზისურად კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელებში ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია;
- გამართოს ბაზისურად VOIP ტელეფონია;
- გამართოს ბაზისურად Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გამართოს ბაზისურად Linux სერვერული ოპერაციული სისტემა;
- გამართოს ბაზისურად სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგია;
- გამოიყენოს Cloud პლატფორმები;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

აღნიშნული სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია როგორც პროგრამის სახელწოდებასთან, ისე მის მიზნებთან, შინაარსთან და კომპეტენციური მოდელით გათვალისწინებულ მოლოდინებთან.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სარეგისტრაციო ნომერი 06.2.1 სრულად ითვალისწინებს დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დეტალურად განსაზღვრავს მის ძირითად სტრუქტურულ და შინაარსობრივ ელემენტებს. კონკრეტულად, პროგრამაში მკაფიოდ ფორმულირებულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების სისტემისა და მიდგომების ძირითადი პრინციპები, ასევე პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. გარდა ამისა, პროგრამაში გაწერილია სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები და პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებულ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სრულად ჩამოყალიბებულ სასწავლო გეგმას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპლექსურ, სტრუქტურულად დამუშავებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სისტემატურ სახეს. აღნიშნული მიდგომა იძლევა პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისა და მის მიზნებთან შესაბამისობის საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მისია და სტრატეგიული გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი დანართი N2;
- სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნის №2-58 ბრძანებით დამტკიცებული ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.
- სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნის №2-58 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება: საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი განსაზღვრავს, რომ სკოლა უფლებამოსილია პროფესიული განათლების მიმართულებით მიზნებისთვის წარმართოს სკოლის მატერიალური რესურსი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში სკოლა ითვალისწინებს სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სარგებლობის შესაძლებლობას და იღებს გონივრულ გადაწყვეტილებას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება მაღალხარისხიანი სწავლება, როგორც ზოგადი, ასევე, პროფესიული განათლების საფეხურებზე. სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია B სასწავლო გარემო, რომლებიც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარსამართავად გამოიყენება. პროფესიული პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შედეგები მიიღწევა დაწესებულების A,B და C ტიპის სასწავლო გარემოში დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით. თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი (მათ შორის ინტეგირებული მოდულებისთვის) ჯერ არ არის შესყიდული სკოლის მიერ. ყველა გარემო გათვლილია ჯგუფში 10 პროფესიულ სტუდენტზე. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს კალათბურთი და ფრენბურთი, ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სწავლება, თუმცა რეკომენდიებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინფრასტრუქტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. ასევე დადგინდეს რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტები ლაბორატორიულ სივრცეში. ეს უზრუნველყოფს პრაქტიკული სწავლების პროცესის ორგანიზებულობას, სწავლების რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპეტენციების სისტემურ განვითარებას. დაწესებულებას, დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც განსაზღვრავს ღონისძიებებს, დროის შუალედებსა და პასუხისმგებელ პირებს. აქედან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე დაწესებულება ვალდებულია 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი 2.2.1.1.მეტწილად შესაბამისია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 18 მასწავლებელი, რომელთაგან: 2 უზრუნველყოფს ზოგადი განათლების კომპონენტების სწავლებას, 3 პროფესიული მოდულების განხორციელების ფუნქციას, 13 ზოგად ინტერრირებული მოდულის განხორციელების. დაწესებულებას სურს უზრუნველყოს პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შესაბამისობა, რაც განაპირობებს პროგრამის მდგრადად განხორციელების შესაძლებლობას. მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსის“ დებულებებს და არ აღემატება კვირაში 40 სამუშაო საათს. პროგრამას თან ერთვის დანართი - განმახორციელებელი პერსონალის სია. ასევე საგანმანათლებლო დაწესებულება უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განახლება-გაძლიერებაზე და მისი შევსებაზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესება. პროგრამის მდგრადობისათის დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც განსაზღვრავს ღონისძიებებს, დროის შუალედებსა და პასუხისმგებელ პირებს. აქედან გამომდინარე დაწესებულება ვალდებულია 6 თვის ვადაში უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს არა მხოლოდ შეფასებულ ინდიკატორებზე მორგებულ ცვლილებებს, არამედ სკოლაში რესურსების მუდმივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესებას და სრულყოფას, რათა პროფესიული პროგრამა იყოს მდგრადი და ეფექტური. შესაბამისად მოცემული ინდიკატორი **მეტწილად არის შეფასებული.**

ინდიკატორი 2.2.1.2. მეტწილად შესაბამისია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი – „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ :პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება და წინარე ხელშეკრულება და სხვა მნიშველოვანი წესები. ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირადი საქმეების შესწავლით გამოვლინდა, რომ დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა აკადემიური კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების ფორმირებას და შეესაბამებიან მოცემული სკავალიფიაციო მოთხოვნებს. აქვთ პროფესიულ სწავლებაში მოცემული მიმართულებით გამოცდილება. ასევე ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს არ აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, შესაბამისად, გააჩნია კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების უნარები. პროგრამის მდგრადობისათის დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც განსაზღვრავს ღონისძიებებს, დროის შუალედებსა და პასუხისმგებელ პირებს. აქედან გამომდინარე დაწესებულება ვალდებულია 6 თვის ვადაში უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხოლოდ შეფასებულ ინდიკატორებზე მორგებულ ცვლილებებს, არამედ სკოლაში რესურსების მუდმივ გაუმჯობესებას და სრულყოფას, რათა პროფესიული პროგრამა იყოს მდგრადი და ეფექტური. შესაბამისად მოცემული ინდიკატორი **მეტწილად არის შეფასებული.**

ინდიკატორი 2.2.1.3. მეტწილად შესაბამისია

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური და დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასევე მას აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება, თუმცა არ აქვს პროგრამის ხელმძღვანელად მუშაობის გამოცდილება. პროგრამის მდგრადობისათის დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც განსაზღვრავს ღონისძიებებს, დროის შუალედებსა და პასუხისმგებელ პირებს. აქედან გამომდინარე დაწესებულება ვალდებულია 6 თვის ვადაში უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, ჩერთოს ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებში, ასევე კოორდინაციას გაუწიოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი 2.2.1.4. მეტწილად შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის. დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული საგანამანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით, რომელიც დამუშავდება ბიბლიოთეკის წესის მიხედვით და უზრუნველყოფილია მისი ხელმისაწვდომობა პროფესიული პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ სამკითხველო დარბაზში, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ინვენტრარი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით, ამობეჭდონ ელექტრონული სახით არსებული მასალები, გამოიყენონ სამკითხველო დარბაზი და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისია

6 . სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 მაისს №2-61 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელშიც გაწერილია **მუხლი 29** - პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები, **მუხლი 30** - სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, **მუხლი 31** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიუალურ რეჟიმში, **მუხლი 63** - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, **მული 64** - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. სსსმ სტუდენტისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება, სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა, ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სკოლა პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილი აქვს დანართი N3 მეშვეობით. დანართში მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის **(არაინტეგრირებული პროგრამა)** ბიუჯეტი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხური **(ინეტგრირებული მოდულებით)**. დაფინანსების სახეობა ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო რენტაბელობის ზღვარი გათლილია 5 პროფესიულ სტუდენტზე. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების სია დანართი N1;
- საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსები დანართი N2;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი დანართი N3;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამაზე მოთხოვნილი პროფ. სტუდენტთა საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნის №2-58 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება: მუხლები 29-30-31-63-64
- 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
- სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნის №2-58 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება და წინარე ხელშეკრულება.
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 მაისს №2-58 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება და ხარისხის უზრუნველყფის მექანიზმები. სკოლის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესება, აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. ასევე, სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება. დებულების მე-9 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან გაერთიანებულ შეხვედრებს ახორციელებს პროფესილი განათლების კოორდინატორი და განსახილველი საკითხის შინაარსის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალის ჩართულობას. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება.
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მოდულების გათვალისწინებით.

- კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს ექვს ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის რაოდენობით და 17 პროფესიულ მოდულს ჯამური 87 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 117 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო თვეს ანუ 80 სასწავლო კვირას. მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 147 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე, ანუ 104 სასწავლო კვირა.
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 17 პროფესიულ მოდულს ჯამური 87 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 87 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 17 სასწავლო თვე, ანუ 67 სასწავლო კვირა. მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 117 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 23 სასწავლო თვე, ანუ 91 სასწავლო კვირა.

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40სთ-ს. სასწავლო გეგმით დაცულია ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკურობა. სასწავლო გეგმა გაწერილია ორ წელზე. მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია კალენდარული გეგმის შემუშავების აუცილებლობა. სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის შემუშავდება სასწავლო ცხრილები.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, დაცულა პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებებზე. დაწესებულებას პროგრამით სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები. ასევე დებულებით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის შემდგომ განათლებით უზრუნველყოფა, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. სტუდენტებს აქვთ, ასევე, მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დებულებეა ითვალისწინებს, ასევე, ვერიფიკაციისა და ინტეგრირებული მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. სასწავლო მოდულები მოიცავს სწავლების მეთოდების დეტალურ აღწერას, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და პრაქტიკულ ორიენტაციას. დარგობრივი ტექნოლოგიების გამოყენება განხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა მეშვეობით, რომლებიც აქტიურად უნდა გაეცნონ სფეროში არსებულ სიახლეებს, სასწავლო მასალებს და გამოიყენონ ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში. ეს ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას და პროფესიული განათლების სისტემის უწყვეტ განახლებას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 მაისს №2-61 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამების განხორციელების დებულება. დებულების 29-ე მუხლი პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები, მუხლი 30-ე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, უხლი 31. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში. შესდაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი დებულება ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში. პრაქტიკის ობიექტს არ საჭიროებთ.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების იმგვარ სპეციფიკურ ნორმებს, რომლებიც არსებითად განსხვავდება საოფისე საქმიანობისთვის დამახასიათებელი მოთხოვნებისგან. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას აქვს შემუშავებული გარემოში ქცევის ზოგადი წესები, რომლებიც გათვლილია უსაფრთხო, ორგანიზებულ და დისციპლინირებულ სასწავლო გარემოზე. აღნიშნული წესები მკაფიოდ გამოკრულია საგანმანათლებლო სივრცეებში და პროფესიული სტუდენტები მათთან ეცნობიან სწავლის დაწყების პირველივე ეტაპზე. დამატებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური ინსტრუქცია ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის №2-58 ბრძანებით. აღნიშნული წესები ინტეგრირებულია ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მიზნებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ლაბორატორიული გარემოს უსაფრთხო გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სკოლის დირექტორის 16 ივნისის N2-61 ბრძანებით დამტკიცებული ინტეგრირებული მოდულების შეფასების წესი;
- სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N2- 59 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმა;
- სასწავლო ცხრილები;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- ინტერვიუს შედეგებ

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 მაისს №2-58 ბრძანებით დამტკიცებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების დებულებაში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის მოთხოვნები, კერძოდ: შეფასების სისტემა უნდა იყოს სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. მარეგულირებელი წესი მოიცავს შეფასების სისტემას - შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურას, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და შენახვის წესს. რეგულაციის შესაბამისად კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიკაციის დებულება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. დებულება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს და მიზნად ისახავს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და სანდოობას.

- დებულების თანახმად, ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების ანალიზსა და შესაბამისობის შემოწმებას;
- შეფასების პროცესის ზედამხედველობას, დოკუმენტურ და პრაქტიკულ დონეზე;
- შეფასების მტკიცებულებების სისწორისა და სანდოობის დადგენას.

ვერიფიკაციის პროცესში ჩართულნი არიან სხვადასხვა დონის პასუხისმგებელი სუბიექტები, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და საჭიროების შემთხვევაში – დარგის მოწვეული სპეციალისტები. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირები – ვერიფიკატორები – განისაზღვრებიან დირექტორის სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ რეგულირებასა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას. დებულება ასევე მოიცავს რისკების მართვის სისტემას, რომელიც წარმოადგენს ვერიფიკაციის პროცესის უწყვეტობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მექანიზმს. რისკების იდენტიფიკაცია და მათი პრევენციული მექანიზმები ხელს უწყობს პროცესის ხარისხიანად წარმართვას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების საკითხს: დოკუმენტი იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ გამორიცხავს ვერიფიკაციაში მონაწილე პირთა მხრიდან შეფასების ობიექტურობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და აკადემიური სამართლიანობა. დებულების დანართად დამტკიცებულია ვერიფიკაციის დასკვნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტული ფორმა, რაც ხელს უწყობს პროცესის ერთგვაროვნებას, შედეგების ფორმალიზაციასა და შემდგომი ანალიზისთვის მონაცემების სისტემატიზებას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესში გაწერილი აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და შემდგომი განადგურების მექანიზმი, რომელიც რეგულირდება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად და ეფუძნება განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპებს. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების- მათ შორის სტუდენტთა შეფასების უწყისების შენახვის ვადა განისაზღვრება გაფორმებიდან სამ წლის ვადით. მათი აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, მტკიცებულებები ექვემდებარება: განადგურებას/უტილიზაციას კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით, ან შესაძლოა დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის, რაც გულისხმობს მათ გამოყენებას შიდა ტრენინგების, მონიტორინგის ან მეთოდური მუშაობის პროცესში. ასევე შესაძლებელია მათი გადაცემა ავტორს, ანუ შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნაზე პასუხისმგებელ პირს ან პირთა ჯგუფს, დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოიცავს მრავალფეროვან ფორმატს, როგორიცაა: ტექსტური მონაცემები, ელექტრონული ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო მასალა, აუდიო ჩანაწერები და სხვა ტიპის დოკუმენტური მასალა, რომელიც გამოიყენება შეფასების შედეგების დასადასტურებლად. მტკიცებულებების აღრიცხვა მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალის სახით, რომელიც წარმოადგენს ერთიან ბაზას და უზრუნველყოფს მტკიცებულებების მოწესრიგებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტირებას, ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხოებას. აღრიცხვის ჟურნალი ითვალისწინებს როგორც თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ მონაცემებს, ასევე დადასტურების ფორმალურ პარამეტრებს.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციები ითვალისწინებს უკუკავშირის უზრუნველყოფისა და საჭიროების შემთხვევაში მიზნობრივი მხარდაჭერის გაწევის ვალდებულებას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია სტუდენტის პროგრესის წახალისებასა და აკადემიური განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნაზე. პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც უკუკავშირის მექანიზმი, ასევე შემდგომი განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტი. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ კონსულტაციებს, დამატებით მხარდაჭერას კონკრეტულ მოდულებში ან საჭიროებისამებრ სასწავლო სტრატეგიის კორექტირებას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია იმ პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ კონსულტირებაზე, ვისაც ეს აკადემიური საჭიროებიდან გამომდინარე სჭირდება. აღნიშნული კონსულტაცია ტარდება კონფიდენციალურობის პრინციპის მკაცრი დაცვით და მიზნად ისახავს სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესებას, საგნობრივი ბარიერების დაძლევას და სწავლის პროცესში მოტივაციის ამაღლებას. ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გრაფიკს ადგენს პროფესიული განათლების კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულად, ეფექტიანად და თანაბარი ხელმისაწვდომობით წარმართვას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება სწავლა-სწავლების თანამედროვე პრინციპებს, შეფასების ფორმატების მრავალფეროვნებას და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებსა და საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვას სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის მიმართულებით.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 მაისს №2-58 ბრძანებით დამტკიცებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 მაისს №2-61 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამების განხორციელების დებულება.
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
……

თარიღი
23.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: